საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირმის ნახტომი



ირმის ნახტომი

ირმის ნახტომი, ცის თაღზე გადაჭიმული მოთეთრო ნისლისმაგვარი, სუსტად მნათი ზოლი. შედგება ჩვენს გალაქტიკაში (იხ. სტ. ასტრონომია) შემავალი აურაცხელი ვარსკვლავისაგან, რ-ებიც დიდი სიშორის გამო ერთმანეთთან ძლიერ ახლოს მოჩანს.

ი. ნ-ის ზოლის შუა ხაზი გალაქტიკის სიბრტყეშია, მასთან უშუალო სიახლოვესაა ჩვენი გალაქტიკის შემადგენელ ვარსკვლავთა უმრავლესობა.

ი. ნ-ის სინონიმებია ქართ. სახელწოდებანი: „დათვისფეხა", „დევის ნამუხლარი", „იერუსალიმის გზა", „ცისიკანკლედი", „ხარის ნავალი".